პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 იანვარი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 26 (15543)

— იანვრის გეგმა—ხუთი დღით ადრე!

ბიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა დიდ წარმატებას მიაღწია გასულ წელს, ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. სოციალისტური შეჯიბრებიდან ფართოდ გაშლით მაღაროელებმა კარგად დაიწყეს ახალი წელიც, იანვრის პროგრამა ხუთი დღით ადრე გაანაღდეს და ვალდებულება იკისრეს დარჩენილ დღეებში გამოუშვან 25 ათასი ტონა ზეგეგმითი მარგანეცი. მაღაროელები პირობას ასრულებენ. მოწინავეა კარიერის ცვლა, რომელსაც ვ. გურული ხელმძღვანელობს. ხურათზე: ცვლის უფროსი ვ. გურული და მოწინავე მბურღავი ლ. ბახტაძე.

ა. მაჩავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხუთწლედი: აღმავლობის გზით

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, ხუთწლედის მეორე წელს მიაღწიეს ეკონომიკის შემდგომ კეთილდღეობას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა.

გასულ წელს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1972 წელი პროცენტობით 1971 წელთან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	104
მრეწველობის პროდუქცია	106,5
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება („ა" ჯგუფი)	106,8
მოხმარების საგნების წარმოება („ბ" ჯგუფი)	106,0
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	95,4
ძირითადი ფონდების ამოქმედება	104
კაპიტალური დაბანდებანი	107
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	104,7
მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი	102,6
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	106
მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ფულადი ხელფასი	103,5
კრლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	104,7
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	106,4
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	103,7
საცალო საქონელბრუნვა	106,9
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება	110
საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა	99
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	105,2
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში	97,2
მშენებლობაში	105,4
რკინიგზის ტრანსპორტზე	103,8
მოგება სახალხო მეურნეობაში (შესადარ ფასებში)	107
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა	109

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი 1972 წელს გაიზარდა 11 მილიარდი მანეთით და შეადგინა 310 მილიარდ მანეთზე მეტი (ფაქტიური ფასებში). ამასთან ეროვნული შემოსავლის დახლოებით სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, დანარჩენი ნაწილი კი სოციალისტური წარმოების გაფართოებისა და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი საჭიროებებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად გრძელდებოდა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება.

1971 და 1972 წლებში დაახლოებით 34 მილიონ კაცს მუშაობა ხელფასი, პენსიები და სტიპენდიები.

სამრეწველო პროდუქცია წელიწადში გაიზარდა 26 მილიარდი მანეთით და 424 მილიარდ მანეთს გადაჭარბა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობამ შეადგინა თითქმის 84 მილიარდი მანეთი, რაც თუმცა რამდენადმე ნაკლებია წინა წელთან შედარებით, მაგრამ მეტია გასული ხუთწლედის საშუალო-წლიურ წარმოებაზე.

შესრულდა კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა; ამოქმედდა 86 მილიარდი მანეთის საერთო ღირებულების ძირითადი ფონდები, ანუ 4 პროცენტით მეტი, ვიდრე 1971 წელს.

განხორციელდა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ ზრდასა და ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 80 პროცენტზე მეტი და ეროვნული შემოსავლის მატების სამი მეოთხედი. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდამ სახალხო მეურნეობაში უზრუნველყო 2,5 მილიონზე მეტი კაცის შრომის მკონომია.

სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და საწარმოები განაგრძობდნენ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების კვლევას, მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა გადააჭარბა ერთ მილიონ კაცს. სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით 3,6 მილიონი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გაანგარიშებით 3 მილიარდ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.

1972 წელს შეიქმნა და წარმოებაში ინერგებოდა ახალი ნიმუშების მანქანები, ხელსაწყოები, გამოსათვლელი ტექნიკა და მასალები პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, განხორციელდა წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია. რაც ჩანს შემდეგიდან.

შექმნილია ახალი ნიმუშების მანქანები, მოწყობილობა, აპარატები და ხელსაწყოები . . .	დაახლოებით 4 ათასი დასახელებისა
ათვისებულია და დაიწყო ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება . .	3,7 ათასი დასახელებისა
წარმოებიდან მოხსნილია მოძველებული მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ნაწარმი	1,3 ათასი დასახელებისა
მოდერნიზებულია საწარმოო მოწყობილობა.	160 ათასი ერთეული
სამრეწველო საწარმოებში დადგმულია: მექანიზებული ნაკადური ხაზები	დაახლოებით 9 ათასი კომპლექტი
ავტომატური ხაზები . . .	1,5 ათასი კომპლექტი
კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია უბნები, საამქროები, წარმოებანი	3,8 ათასი
ელექტრიფიცირებულია რკინიგზის ხაზები	1,1 ათასი კილომეტრი
ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა	3.212 ნაკეთობას

ქვემოთ მოყვანილია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ წლიური გეგმის შესრულებას სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით.

I. მრეწველობა

სამრეწველო პროდუქციის წარმოების მატებამ 1971 წელთან შედარებით შეადგინა 6,5 პროცენტი. უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მრეწველობის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში. შრომის ნაყოფიერება წლის მანძილზე 5,2 პროცენტით გაიზარდა. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მობმა გადიდდა 9 პროცენტით და მეტად.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია 1971 წელთან შედარებით გაიზარდა:

ელექტროენერგია	8 პროცენტით
სათბობის მრეწველობა	5 „
ნავთი და ფერადი მეტალურგია	6 „
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	9 „
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	11 „
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	5 „
სამენ მასალათა მრეწველობა	7 „
მსუბუქი მრეწველობა	3 „
კვების მრეწველობა	3 „
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება	10 „

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ ცალკეული სამინისტროების მიხედვით და წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებმა შეადგინა:

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმა-მის შესრულება წლიურად	1972 წელი პროცენტობით 1971 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციისა	101	108	107
ნავთობის მრეწველობისა	101	106	105
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობისა	101	108	107
გაზის მრეწველობისა	99,4	110	106
ქვანახშირის მრეწველობისა	103	103	107
შავი მეტალურგიისა	100,2	104	105
ფერადი მეტალურგიისა	100,5	107	107
ქიმიური მრეწველობისა	100,2	110	108
მძიმე ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა	100,6	107	107
ელექტროტექნიკური მრეწველობისა	101	108	107
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობისა	100,6	109	107
ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობისა	99,5	110	107
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა	103	118	112
საავტომობილო მრეწველობისა	103	114	109
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა	101	109	107
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობისა	102	110	108
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობისა	97	109	108
ხე-ტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობისა	99	104	105
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისა	98	106	105
სამენ მასალათა მრეწველობისა	101	106	105
მსუბუქი მრეწველობისა	99	102	103
კვების მრეწველობისა	101	100,2	101
ხორცის და რძის მრეწველობისა	102	105	103
თევზის მეურნეობისა	101	107	106
დამზადებისა	103	105	105
სამედიცინო მრეწველობისა	102	112	103
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	101	111	106

ქვემოთ მოყვანილია მონაცემები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა):

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმა-მის შესრულება წლიურად	1972 წელი პროცენტობით 1971 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
რუსეთის სფსრ	100,6	106,3	105,2
უკრაინის სსრ	101,6	106,3	104,8
ბელორუსიის სსრ	101,6	109,7	106,3
უზბეკეთის სსრ	102,0	106,6	103,8
ყაზახეთის სსრ	101,0	107,1	105,4
საქართველოს სსრ	100,9	100,7	100,5
აზერბაიჯანის სსრ	100,7	103,7	102,6
ლიტვის სსრ	102,0	108,7	106,8
მოლდავეთის სსრ	101,7	103,0	99,0
ლატვიის სსრ	101,8	107,0	107,0
ყირგიზეთის სსრ	102,3	108,1	105,8
ტაჯიკეთის სსრ	102,5	103,6	101,9
სომხეთის სსრ	100,3	104,0	101,8
თურქმენეთის სსრ	102,5	106,1	104,6
ესტონეთის სსრ	101,7	106,3	105,4

გაუმჯობესდა საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ელექტროსადგურებში სათბობის ხვედრითი ხარჯვა შემცირდა 1,1 პროცენტით. ქვანახშირის შახტებში მოქმედი საწმენდი სანერგიდან ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო მოპოვება გადიდდა 8 პროცენტით. შავ მეტალურგიაში ბრძმედების მარაგი მოცულობის გამოყენება გაუმჯობესდა 2 პროცენტით. ფეროშენადნობების მრეწველობაში ბრუნვადი ღუმელების საათობრივი წარმადობა გაიზარდა 3 პროცენტით, წისქვილებისა — 2 პროცენტით. ბამბის, სელის, შალის და აბრეშუმის ქსოვილების მრეწველობის საწარმოებში გადიდდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის წარმადობა.

1972 წელს ათვისებულია მეექვსე რიგი ახალ სახეობათა სამრეწველო ნაწარმის გამოშვების, მაგალითად:

შავ მეტალურგიაში — ნაგლინის ეკონომიური ცხლადგლინული პროფილები და ნაგლინის ცივლესილი პროფილზომები, 0,35 მილიმეტრი სისქის ცივგლინული სატრანსფორმატორო ფოლადი რულონებად. ელექტროსაიზოლაციო დფფარით, რომლის გამოყენება არსებითად ამცირებს ელექტროენერგიის დანაკარგებს;

ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში — გაუმჯობესებული ხარისხის სამოტორო ზეთები და სამხმელო საპოხი მასალები, რომლებსაც იყენებენ ტემპერატურათა ფართო ინტერვალის პირობებში;

ქიმიურ მრეწველობაში — მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა, ნაღალხარისხოვან თერმომედეგი ელექტროსაიზოლაციო აფსკების, გრნულირებული პოლისტიროლის ახალი სახეობანი.

ჩარხშენებლობაში — რიცხობრივი პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების, აგრეთვე სამჭიდლო-საწნები მანქანების ახალი მოდელები;

ხელსაწყოთმშენებლობაში — ერთიან სტრუქტურულ და მიკროელექტრონულ ტექნოლოგიურ ბაზაზე აგებული ელექტრონული ციფრობრივი გამოსათვლელი მანქანები პროგრამირების შეთავსებული სისტემებითურთ, მაღალტემპერატურული პლაზმის საკვლევი რენტგენული სპექტრომეტრი; და სხვა ხელსაწყოები;

ავტომობილმშენებლობაში, — დიდი ტვირთამწეობის ავტომობილები და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში სამუშაო ავტობუსები;

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში — მეტი წარმადობის ბრინჯის მარცვლასასაღები კომბაინი „კოლოსი";

სამშენებლო-საგზაო მანქანათმშენებლობაში — კოშკური ამწე, რომლის დამონტაჟება წარმოებს საკუთარი მექანიზმებით ამაღლების მეთოდით;

საშენ მასალათა მრეწველობაში — მინერალბამბის აკუსტიკური ფილები, რომელთაც აქვთ ხუკეთესო დეკორატიული თვისებები, კედლების მოსაპირკეთებელი აფსკური მასალები;

ქაღალდის მრეწველობაში — კაბელის საიზოლაციო თერმომედეგი ქაღალდი.

მსუბუქ მრეწველობაში ინერგება სართავ-საძასავი მანქანები, სადაც ერთდროულად ოთხი ტექნოლოგიური ოპერაციაა შეთავსებული. დაწყებულია ფერის საცვლელი სრულყოფილმექანიზმიანი უმაქოო საქსოვი დაზგების სერიული გამოშვება, რის შედეგად შრომის ნაყოფიერება 2,5-3-ჯერ იზრდება. ათვისებულია ქალის საკაბე და საკოსტიუმო ქსოვილების დასამზადებლად ქიმიური ძაფის ქსლადქსოვილი სატრიკოტაჟო ქსოვილის, წყალუკარები ნივთიერებით გაჟღენთილი ველიერისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

იმანენტიზდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები სამრეწველო საწარმოებში. მაგალითად, თბოელექტროსადგურების ენერგეტიკაში დანერგილია მძლავრი ენერგობლოკების მართვის 12 ავტომატიზებული სისტემა; ფერად მეტალურგიაში — ალუმინის ელექტროლიზის მართვის 3 ავტომატიზებული სისტემა; ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში — ზითთა შერევის დანადგარის მართვის ავტომატიზებული სისტემა; ქიმიურ მრეწველობაში — ფენოლ-აცეტონის წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემა და ჟოგირდმჟავას წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემის პირველი რიგი; მსუბუქ მრეწველობაში დანერგილია ქსოვილების გამოჭრის მართვის 8 ავტომატიზებული სისტემა.

ამასთან ერთად, მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს არ შეუსრულებიათ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა გეგმები და წარმოებაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმები. მანქანათმშენებლობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთი პროდუქციის გამოშვებას, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ჯერ უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში შრომის ნაყოფიერების გადიდების საჭირო ტემპებს.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვებას მთლიანად ქვეყანაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოება 1972 წელს	1972 წელი პროცენტობით 1971 წელთან შედარებით
ელექტროენერგია—მილიარდი კილოვატსაათი	858	107
ნავთობი — მილიონი ტონა	394	106
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	221	104
ქვანახშირი — მილიონი ტონა	655	102
აქედან კოქსისათვის	170	100,5
თუჯი — მილიონი ტონა	92,3	103
ფოლადი — მილიონი ტონა	126	104
შავი ლითონების ნაგლინი—მილიონი ტონა	99,4	104
მათ შორის მზა ნაგლინი	87,4	104
ფოლადის მილები — მილიონი მეტრი	2147	107
მილიონი ტონა	13,8	104
რკინის მადანი — მილიონი ტონა	208	103
მინერალური სასუქი — მილიონი ტონა პირობითი ერთეული	66,1	108
100 პროცენტ საკვებ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით	15,9	109
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი— ათასი ტონა: პირობითი ერთეული	299	110
მოქმედი საწყისის 100-პროცენტიანი გაანგარიშებით	173	112
100-პროცენტიანი კალცინირებული სოდა — ათასი ტონა	3850	106
100-პროცენტიანი კაუსტიკური სოდა — ათასი ტონა	1899	102
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	13,7	107
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა	2035	109
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	746	110
ავტოსაბურავები — მილიონი ცალი	38,7	107
ტურბინები — მილიონი კილოვატი	14,6	87
ტურბინის გენერატორები—მილიონი კილოვატი	13,7	108
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	40,0	104
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	210	101
მილიონი მანეთისა	1140	108
ლითონსაჭრელი ჩარხების საერთო რიცხვიდან — რიცხობრივი პროგრამული მართვის ჩარხები — ცალი	3038	120
სამჭედლო-საწნეხი მანქანები—ათასი ცალი	43,9	104
მილიონი მანეთისა	296	109
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები—მილიონი მანეთისა	2948	114
გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები—მილიონი მანეთისა	1180	135
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა	322	99,8
ქვანახშირის საწმენდი კომბაინები—ცალი	1115	92
გვირაბგასაყვანი კომბაინები—ცალი	420	117
კომპლექსები და მექანიზებული სამაგრები საწმენდი სამუშაოებისათვის ქვანახშირის შახტებში. — კომპლექტი	395	126
ნავთობგადასატარებელი — ათასი ტონა	157	113
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები—მილიონი მანეთისა	570	108
ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები მსუბუქი მრეწველობისათვის—მილიონი მანეთისა	489	106
ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები კვების, ხორცისა და რძის და თევზის მრეწველობისათვის —მილიონი მანეთისა	380	110
სამგზავრო ავტომობილები: სედანი	1488	100,2
ათასი ცხენის ძალა	3866	102
სამგზავრო ელმავლები: ცალი	351	103
ათასი ცხენის ძალა	2593	100,9
სატვირთო სამგზავრო ვაგონები—ათასი ცალი	68,9	108
ავტომობილები — ათასი ცალი	1379	121
მათ შორის: სატვირთო	597	106
მსუბუქი	730	138
ავტობუსი	52	105
ავტომობილის სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	1009	108
ტრაქტორები — ათასი ცალი	478	101
ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	871	105
ტრაქტორის მისაბმელები —ათასი ცალი	333	98
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — მილიონი მანეთისა	2615	112
სასოფლო-სამეურნეო მანქანის სათადარიგო ნაწილები—მილიონ მანეთისა	297	110
კომბაინები — ათასი ცალი:		
მარცვალასაღები	95,7	94
სიმინდის ასაღები	8,2	117
კარტოფილის ასაღები	8,6	108
ჭარხლის ასაღები	11,4	113
სიღოსის ასაღები	53,9	134
ბამბის ასაღები მანქანები — ათასი ცალი		
ფიზიკური ერთეული	6,8	102
ორმწკრივა აღრიცხვით	11,1	107
საწნეხ-ასაკრები — ათასი ცალი	20,8	115
ექსკავატორები — ათასი ცალი	34,9	105
ბულდოზერები — ათასი ცალი	40,0	105
სამასაღე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	289	100,2
ცელულოზა-მილიონი ტონა	5,7	105
ქაღალდი — მილიონი ტონა	4,6	105
მუყაო — მილიონი ტონა	2,8	105
ცემენტი — მილიონი ტონა	104	104
ასაწყობი რკინა-ბეტონი — მილიონი კუბური მეტრი	96	106
სამშენებლო აგური — მილიარდი ცალი	45	101
შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	6,6	106
რბილი სახურავი — მილიონი კვადრატული მეტრი	1382	103
უანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	248	105
ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:		
ბამბისა	6419	100,4
შალისა	681	100,8
სელისა	775	102
აბრეშუმ.	1270	107
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	17,3	102
ტრიკოტაჟის საცვალი — მილიონი ცალი	843	102
ზედა. ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	447	100,3
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	645	95
ხორცი — სულ — მილიონი ტონა	13,6	102
აქედან სამრეწველო გამომუშავება	8,7	106
ძეხვეული — მილიონი ტონა	2,6	105
საჭმელი თევზის პროდუქცია — მილიარდი მანეთისა	2,2	103
კარაქი — ათასი ტონა	1081	106
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონი ტონა	20,0	101
ცხიმიანი ყველი — ათასი ტონა	487	105
ფხვნილი შაქარი — მილიონი ტონა	8,9	99
მცენარეული ზეთი — მილიონი ტონა	2,8	97
საკონდიტრო საქონელი — მილიონი ტონა	3,0	102
ნატურალური ჩაი (ხარისხოვანი) — ათასი ტონა	109	107
კონსერვები — მილიარდი ქილა	12,0	106
კომბინირებული საკვები — მილიონი ტონა	28	106
სინთეზური სარეცხი საშუალებანი — ათასი ტონა	534	108
საათები — მილიონი ცალი	44,2	105
ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი — მილიონი ცალი	743	114
სორტული ჭურჭელი (მინის და ბროლისა) — მილიონი მანეთისა	210	117
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	8,8	100,5
ტელევიზორები — მილიონი ცალი	6,0	103
მაცივრები — მილიონი ცალი	5,0	110
სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი	3,0	74
ელექტრომტვერსასრუტები — მილიონი ცალი	2,2	125
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	898	103
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონი ცალი	4,6	102
ავეჯი — მილიარდი მანეთისა	3,3	109

წინა წელთან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 58 მილიარდი კილოვატ-საათი, ნავთობი — 22 მილიონი ტონა, გაზი — 9 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 14 მილიონი ტონა, თუჯი — 3,1 მილიონი ტონა, ფოლადი — 4,9 მილიონი ტონა, შავი ლითონების ნაგლინი — 3,5 მილიონი ტონა, ფოლადის მილები — 147 მილიონ მეტრი, მინერალური სასუქები — 4,7 მილიონი ტონა (პირობითი ერთეულებით), სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — 171 ათასი ტონა, ქიმიური ბოჭკოები — 70 ათასი ტონა, ლითონსაჭრელი ჩარხები — 88 მილიონი მანეთისა, ხელსაწყოები ავტომატიზაციის, საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები — 357 მილიონი მანეთისა, გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — 306 მილიონი მანეთისა, სატვირთო ავტომობილები — 32 ათასი ცალი, მსუბუქი ავტომობილები — 201 ათასი ცალი, ავტომობილების სათადარიგო ნაწილები — 76 მილიონი მანეთისა, ტრაქტორები — 5,5 ათასი ცალი და მათი სათადარიგო ნაწილები — 44 მილიონი მანეთისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 275 მილიონი მანეთისა და მათი სათადარიგო ნაწილები — 24 მილიონი მანეთისა, ქაღალდი — 206 ათასი ტონა, მუყაო — 133 ათასი ტონა. გაიზარდა ფერადი და იშვიათი ლითონების, ნავთობქიმიისა და ნავთობგადამუშავების პროდუქტების წარმოება.

გადიდდა უმნიშვნელოვანესი სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგი.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება 1971 წელთან შედარებით გაიზარდა: ყველა სახეობის ჩოგილებისა — 138 მილიონი კვადრატული მეტრით, შეკერილი ნაწარმისა — 339 მილიონი მანეთით, სასაცვლი და ზედა ტრიკოტაჟისა — 14 მილიონი ცალით, ხორცისა — 475 ათასი ტონით, კარაქისა — 59 ათასი ტონით, კონსერვებისა — 693 მილიონი ქილით, ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭლისა — 89 მილიონი ცალით, სორტული ჭურჭლისა — 31 მილიონი მანეთით, მაცივრებისა — 472 ათასი ცალით, ელექტრომტვერსასრუტებისა — 429 ათასი ცალით, ავეჯისა — 276 მილიონი მანეთით, სინთეზური სარეცხი საშუალებებისა — 38 ათასი ტონით.

მრეწველობის მუშაობაში იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანიც. მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა ვერ მიაღწია გეგმით გათვალისწინებულ პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების მატებას. საწარმოთა ნაწილმა ვერ შესრულა პროდუქციის რეალიზაციისა და დაგროვების დადგენილი დავალებანი. მთლიანად ვერ შესრულდა გაზის მოპოვების, კაუჩუკიანი სოდის, გოგირდმჟავას, ნავთობაპარატურის, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის, საგზაო-ფენის ვიბრენების, სილოსასაღები კომბაინების, მუყაოს, ასაწყობი რკინაბეტონის, ჩოგილების, შეკერილი და ტრიკოტაჟის წარმოების, ტყავის ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა; ყველგან როდი უზრუნველყოფენ საჭირო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის ნაწარმის გამოშვებას. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ვერ იყენებს სრულად წარმოების შემდგომი გადიდების რეზერვებს, არის ნაკლოვანებანი საწარმოო სიმძლავრეების, სამუშაო დროის, ნედლეულის გამოყენებაში. მთელ რიგ ახლად ამშვებულ ობიექტებზე ნელა ითვისებენ პროდუქციის წარმოების, თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების საპროექტო დონეს.

II. სოფლის მეურნეობა

გასულ წელს სოფლის მეურნეობას მეტად ცუდი ამინდის პირობები შეექმნა. სუსხიანი უთოვლო ზამთრისა და ზაფხულის სამინელი გვალვის გამო, რომელიც ჩვენი ქვეყნის ვრცელ რაიონებს მოედო, მნიშვნელოვან ფარფლობზე დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში განახორციელეს პარტიამ და მთავრობამ, და გასულ წელს მიღებულმა დამატებითმა ღონისძიებებმა ჩვენი ქვეყნის რესურსების დასაცავად და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად, საშუალება მოგვცა შეგვიმცირებინა ცუდი ამინდის პირობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის მაღალმა ორგანიზებულობამ, აგრეთვე ქალაქების მოსახლეობის აქტიურმა დახმარებამ, საშუალება მოგვცა ძნელ პირობებში აგვეღო მოსავალი უმეცრესი დანაკარგებით.

მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (მილიონობით ტონა):

	საშუალოდ წელიწადში 1966—1970 წ. წ.	1971—1972 წ. წ.	1972 წ.
მარცვლეული	167,6	174,6	168,0
ხამი ბამბა	6,1	7,2	7,3
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	81,1	74,0	75,7
მზესუმზირა	6,39	5,35	5,03
კარტოფილი	94,8	85,2	77,8
ბოსტნეული	19,5	20,0	19,1

მარცვლეულის წარმოებამ შარშან შეადგინა 168 მილიონ ტონა, რაც რამდენ

ხუთწლედი: აღმავლობის გზით

(დასასრული).

ბულია 39,5 მილიონი ტონა მარცვლეულის მოსავალი, მარცვლეულის წარმოებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ალტაის მხარის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, კურგანის, ტიუმენის ოლქების მეურნეობებმა.

მარცვლეულის კარგი მოსავალი აიღეს რუსეთის სფსრ, მთელ რიგ სხვა ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებშიც, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამან მნიშვნელოვნად განაზღვარა ქვეყნის ევროპული ნაწილის ძირითადი მარცვლეულის რაიონების მოუსავლიანობა.

მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვამ მთლიანად ქვეყანაში შარშან შეადგინა 50 მილიონი ტონა.

სახელმწიფო რესურსების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 17 მილიონ ტონაზე მეტი, ესე იგი მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული; ეს 3,5 მილიონი ტონით აღემატება სახალხო-სამეურნეო გეგმას. თიბვამის 17 მილიონი ტონა მარცვლეული შეინახეს სახელმწიფო რესურსებში ციმბირისა და ურალის მეურნეობებმა.

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიპარაგეს თესლი საგაზაფხულო თესვისათვის. გამოყოფილია ფურაჟი მეცხოველეობისათვის, მაგრამ რამდენადმე ნაკლები მოცულობით, ვიდრე 1971 წ.

გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 7,3 მილიონი ტონა ხამი ბამბა. ეს ბამბის ყველაზე უხვი მოსავალია მთელი წინა წლების მანძილზე. დიდ წარმატებებს მიაღწიეს უზბეკეთის მიწათმოქმედებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 4,7 მილიონი ტონა ხამი ბამბა, რაც 369 ათასი ტონით აღემატება სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულს. ხამი ბამბის კარგი მოსავალი მოიკრიფეს თურქმენეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კარტოფილისა და ბოსტნეულის საერთო მოსავალი გასულ წელს ნაკლები იყო, ვიდრე წინა წელს და 1966-1970 წლების საშუალო წლიურ დონეზე დაბალი იყო. სახელმწიფო რესურსებში შემოვიდა 11,1 მილიონი ტონა კარტოფილი და 11,2 მილიონი ტონა ბოსტნეული, რაც თითქმის უტოლდება 1971 წლის სახელმწიფო შესყიდვის მაჩვენებელს.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აქტიურად ემსახურებიან საგაზაფხულო თესვისათვის. 1973 წლის მოსავლისათვის უკვე მზრალად მოხნულია 110 მილიონი ჰექტარი, ანუ მეტი, ვიდრე მოხნული იყო 1971 წელს. მეტ წილ მეურნეობებში უზრუნველყოფილია სათესლე ფონდებში შენახული მარცვლეულის სათესი კონდიცია. წინა წელთან შედარებით თითქმის ერთნაირგვარად გაფართოდა ბენდასაგრეგატელი რეწყვა; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მასობრივი შეკეთება; მინდვრებში გატანილია 1971 წელზე მეტი მასალები.

პროდუქციული პირუტყვის სულადობამ, აღწერის მონაცემებით, შეადგინა (მილიონი სული):

	1 იანვრისათვის 1971 წ.	1972 წ.	1973 წ.
ფეხმძიძე პირუტყვის ეროვნებანი			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	99,2	102,4	104,0
აქედან ძროხა	41,0	41,2	41,7
ღორი	67,5	71,4	66,5
ცხვარი და თხა	143,4	145,3	144,5
კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	74,3	77,5	79,3
აქედან ძროხა	25,5	26,1	27,0
ღორი	50,9	55,6	53,2
ცხვარი და თხა	110,2	112,6	112,4

ველეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას მთლიანად ქვეყანაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	საშუალოდ წელიწადში 1966—1970 წლებში	1971—1972 წლებში	1972 წელს
ხორცი (დაკლული წონა) მილიონი ტონა —	11,6	13,5	13,6
რძე — მილიონი ტონა	80,6	83,2	83,2
კვერცხი — მილიარდი ცალი	35,8	46,7	48,2
მატყლი — ათასი ტონა	398	424	419

რამდენადმე შემცირდა 1971 წელთან შედარებით სახელმწიფოსათვის შესყიდული პირუტყვის ცოცხალი წონა და ერთი ძროხის საშუალო წველადობა. მოქცეული ქათმის საშუალო კვერცხისმდებლობა გაიზარდა 4 პროცენტით.

ველეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოს შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგინა

	საშუალოდ წელიწადში 1966—1970 წლებში	1971—1972 წლებში	1972 წელს
პირუტყვი და ფრინველი — მილიონი ტონა			
ცოცხალი წონა	11,6	14,6	15,0
დაკლულ წონაზე გადაანგარიშებით	7,3	9,4	9,7
რძე — მილიონი ტონა	43,2	47,8	48,4
კვერცხი — მილიარდი ცალი	14,4	22,9	24,3

პირუტყვის, ფრინველისა და კვერცხის შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მთლიანად ვერ შესრულდა რძის შესყიდვის გეგმა.

1972 წელს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 22 მილიარდი მანეთი. ეს რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე 1971 წელს, მაგრამ 8 პროცენტით მეტი, ვიდრე საშუალოდ 1966-1970 წლებში.

გრძელდებოდა საბჭოთა მეურნეობების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. გასული წლის დამლევისათვის ასეთ პირობებში მუშაობდა 7 ათასი საბჭოთა მეურნეობა, ანუ მათი საერთო რიცხვის 45 პროცენტი.

მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობაში იყო ნაკლოვანებანი. ნელა მცირდება შრომის დანახარჯები. მთელ რიგ მეურნეობებში არ იცავენ აგროტექნიკურ წესებს სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის მიხედვით, ურიგდებიან ძროხების დიდ სიბერეზე, ირის პროდუქციის დანაკარგები.

ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სამუშაოთა მთელ კომპლექსში შეადგინა 23,7 მილიარდი მანეთი, აქედან სახელმწიფოს კაპიტალდაბანდებებმა — 15 მილიარდი მანეთი და კოლმეურნეობებისამ — 8,7 მილიარდი მანეთი. 1971 წელთან შედარებით სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა 8 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან საირიგაციო-სამელიორაციო მშენებლობაში სახელმწიფომ და კოლმეურნეობებმა დაბანდეს 4,5 მილიარდი მანეთი, ანუ 13 პროცენტი მეტი, ვიდრე წინა წელს.

უმნიშვნელოვანეს სახსრებათა ტექნიკისა და მინერალური სასუქების მიწოდების ზრდაა შესრულდა.

გასულ წელს მიწოდებულია: 312 ათასი ტრაქტორი, აქედან 131 ათასი სახნავი; 187 ათასი სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 93 ათასი მარცვლის ასალები კომბაინი, აქედან 19 ათასი ყველაზე მეტი წარმადობის კომბაინები — „ალოსი“, „სიბირიაკი“; 12 ათასი ბარხალასადები, 54 ათასი ხილოსის ასაღები, 8 ათასი სიმინდის ასაღები და 11 ათასი კარტოფილის ასაღები კომბაინი, 6,7 ათასი ბამბის ასაღები მანქანა, 59 ათასი მწკრიული სამკალი მანქანა, 219 ათასი ტრაქტორის გუთანი, 25 ათასი დისკოიანი საოთავი მანქანა, 176 ათასი კულტივატორი, 175 ათასი სათესი მანქანა, 151 ათასი სათიბელა, 51 ათასი ტრაქტორის ფოცხი, 52 ათასი მიხვარული სასუქების მომბნევი მანქანა, დაახლოებით 12 ათასი უნივერსალური სასუქის შემტანი — შემსხურებელი მანქანა, 13 ათასი დასაწვიმი მანქანა, 23 ათასი საწეხ-ასაკრები მანქანა, 86 ათასი უნივერსალური სატვირთავი, 65 ათასი საწელი დანადგარი, 22 ათასი მარცვლეულის საწმენდი მანქანა და ბევრი სხვა მანქანა და მექანიზმი.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 54 მილიონი ტონა მინერალური სასუქი და 863 ათასი ტონა საკვები ფოსფატები. მინერალური სასუქების მოწოდება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4 მილიონი ტონით და საკვები ფოსფატებისა — 336 ათასი ტონით.

ტყეშასაღდგენის სამუშაოები განხორციელდა 2,3 მილიონ ჰექტარ ფართობზე, მათ შორის ტყე დაითესა და დაირგო 1,2 მილიონ ჰექტარზე. გარდა ამისა მოიწყო ხრამების, ღელეების, ქვიშრობისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა მოუმარჯვებელი მიწების გამაგრება და მოტყეევება 247 ათას ჰექტარზე.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა 4,3 ტრილიონი ტონა — კილომეტრი და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4,7 პროცენტით. მგზავრბრუნვამ შეადგინა 625 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი და ზედი 6,5 პროცენტით.

ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით წლიური გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	შესრულდა 1972 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1972 წელი პროცენტით 1971 წელთან შედარებით
ტვირთბრუნვა — მილიარდი ტონა-კილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	2762	102	105
საერთო სარგებლობის			
სამდინარო ტრანსპორტი	180	96	98
საერთო სარგებლობის			
საავტომობილო ტრანსპორტი	74	100,4	107
ნავთობსადენი ტრანსპორტი	376	102	114
ტვირთების გადაზიდვა —			
მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	3155	100,9	104
საერთო სარგებლობის			
სამდინარო ტრანსპორტი	395	102	104
საერთო სარგებლობის.			
საავტომობილო ტრანსპორტი	4252	100,9	106
ნავთობსადენი ტრანსპორტი	388	102	110

საზღვაო ტრანსპორტით ყველა სახეობის ნაოსნობის დროს ტვირთების გადაზიდვა გადიდდა 4 პროცენტით, ტვირთბრუნვა 1971 წლის დონეზე დარჩა.

საავიაციო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთბრუნვისა და ავიაგზირთზიდვის საერთო მოცულობის გეგმა. მგზავრთა გადაყვანამ შეადგინა 82 მილიონზე მეტი კაცი. წინა წელთან შედარებით მგზავრთბრუნვა გადიდდა 8 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანა 5 პროცენტით და ავიაგზირთზიდვის საერთო მოცულობა — 8 პროცენტით. სახალხო მეურნეობის დარგებში ავიაციის გამოყენების სამუშაოთა გეგმა გადაჭარბებით შესრულდა; ამ სამუშაოთა მოცულობა 8 პროცენტით გაიზარდა.

რკინიგზის ტრანსპორტმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის, კოქსის, ნავთობის, რკინისა და მარგანეცის მადნის, ფერადი ლითონების მადნისა და გოგირდის ნედლეულის, შავი ლითონების, ლითონის კონსტრუქციების, მინერალური სასუქების, პურეულის გადაზიდვის წლიური გეგმა: არ შესრულებულა ფულსების, ხე-ტყის, ეცვლილებამდელ მასალების, ცემენტის, სამრეწველო ნედლეულისა და საყალიბო მასალების, გრანულირებული ნედლეულის გადაზიდვის გეგმა. გაიზარდა მასობრივი ტვირთების სამარშრუტო გადაზიდვა, წარმატებით შესრულდა მოსავლის ასაღები საბოლოო-სამეურნეო ტექნიკისა და 1972 წლის მოსავლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაზიდვის დავალებანი. შესრულდა ლოკომოტივის საშუალო-სადღეღამისო წარმადობის გეგმა. 1971 წელთან შედარებით გაიზარდა ტვირთზიდვაზე დასაქმებული მუშაკთა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა ტვირთზიდვის ღირებულება. არ შესრულებულა სატვირთო ვაგონის საშუალო-სადღეღამისო წარმადობის გეგმა. კვლავ იყო ფაქტები, როცა საწარმოებსა და ორგანიზაციებს დროულად არ გაჰქონდათ მოსული ტვირთი რკინიგზის სადგურებიდან და დადგენილ ნორმაზე მეტად აცდენდნენ ვაგონებს დატვირთვისა და განტვირთვის დროს.

ელექტრო და თბომუვალზე გადაყვანილმა რკინიგზების სიგრძემ წლის დასასრულისათვის შეადგინა 119 ათასი კილომეტრი; ამ სახეობის წვივით შესრულდა ტვირთბრუნვის 98,5 პროცენტით.

სამდინარო ტრანსპორტმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის, კოქსის, რკინისა და მარგანეცის მადნის, საშენი მასალების, სამრეწველო ნედლეულისა და საყალიბო მასალების, მარილის გადაზიდვის წლიური გეგმა; არ შესრულებულა ჩასხმული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ტვირგმად შეკრული ხე-ტყის, ცემენტის, გრანულირებული ნედლეულის, შავი ლითონების, მინერალური სასუქების, პურეულის გადაზიდვის გეგმა.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა რამდენადმე ვერ შეასრულა მგზავრთბრუნვის გეგმა. ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით, მსუბუქი ტაქსომოტორებით — 7 პროცენტით. ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა გაიზარდა 7 პროცენტით, სატვირთო ავტომობილების წარმადობა გადიდდა 4 პროცენტით, ამასთან კვლავ არის მნიშვნელოვანი რაოდენობით სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენები.

კავშირგაბმულობის საწარმოების (ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს) პროდუქციის მთლიანი მოცულობა გადიდდა 8 პროცენტით, მაგრამ წლიური გეგმა რამდენადმე ვერ შესრულდა.

შრომა მთლიანად ყველა სახეობის ტრანსპორტზე 8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კავშირგაბმულობის საწარმოთა მიხედვით — 16 პროცენტით.

IV. კაპიტალური მშენებლობა

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი საწარმოების მშენებლობის, მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით ამოქმედდა საწარმოო სიმძლავრეები.

ქვემოთ მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას:

	1972 წელს ამოქმედებული სიმძლავრეები
ელექტროსადგურები — მილიონი კილოვატი	11,5
ქვანახშირი — მილიონი ტონა	18
ფოლადი — მილიონი ტონა	2,2
შავი ლითონების ნაგლინი (მწა) — მილიონი ტონა	1,6
რკინის მადანი — მილიონი ტონა	26,5
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეული) — მილიონი ტონა	7
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა	200
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	43
ავტომობილის საბურავები — მილიონი ცალი	3,7
ავტომობილები — ათასი ცალი	289
ტურბინები — ათასი კილოვატი	1330
სატვირთო სამაგისტრალო ვაგონები — ათასი ცალი	5,3
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	5,0
ექსკავატორები — ათასი ცალი	2,1
ცემენტი — მილიონი ტონა	4,2
ქაღალდი — ათასი ტონა	196,5
ველოსიპედი — ათასი ტონა	249
ფანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	15,3
საქონელი დაზვერის დადგმა — ათასი ცალი	8
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	12,5
შალი და სახალხო ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	29,6
წინდის ნაწარმი — მილიონი წყვილი	13
ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმი — მილიონი ცალი	43
ფხვნილი მაქარი — დღე-ღამეში ათასი ცენტნერი	
მაქრის ჭარხლის გადამუშავება	118
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	45
ხორცი — ტონა ცოცხალი	700
მოუხდელი რძის პროდუქცია — ათასი ტონა რძე ერთ ცოცხალში	3
ყველი — ცოცხალ ადამუშავებული ტონა რძე	712
მაგისტრალური გაზსადენები და მათი განშტოებანი — ათასი კილომეტრი	6
საერთო სარგებლობის ახალი რკინიგზის ხაზები — კილომეტრი	1199
ელეგატორები — მილიონი ტონა	3,2
მარცვლეულის საწყობები დამამზადებელ პუნქტებსა და მარცვლასაცავები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში — მილიონი ტონა	5

საწარმოო სიმძლავრეები მოქმედ საწარმოებში, ჯარდა ამის გადიდდა, წარმოების მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით. 1972 წელს მოქმედ საწარმოებში გადიდდა თუჯის მწარმოებელი სიმძლავრეები — 1,6 მილიონი ტონით, ფოლადისა — 2,3 მილიონი ტონით, შავი ლითონების მზა ნაგლინისა — 1,6 მილიონი ტონით, მინერალური სასუქებისა — 140 ათასი ტონა პირობითი ეროვნული, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 3,5 ათასი ცალით, ცემენტისა — 600 ათასი ტონით, ქაღალდისა — 20 ათასი ტონით.

1972 წელს ამოქმედდა დაახლოებით 400 ახალი დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, აგრეთვე დიდძალი ახალი საამქრო და წარმოება მოქმედ საწარმოებში.

ელექტროენერგეტიკაში ამოქმედდა უდიდესი თბოელექტროსადგურები: ხუნჯულისა — ტიუმენის ოლქში, უგლეგორსკისა და ზაპოროჟიელი — უკრაინაში, სირდარიისა — უზბეკეთში, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში ამოქმედდა ნურეკის ჰიდროელექტროსადგური, — ერთ-ერთი უდიდესი ელექტროსადგური შუა აზიაში. მოქმედ თბოელექტროსადგურებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 200-300 ათასი კილოვატი სიმძლავრის 18 ტურბოაგრეგატი. მოსენერგოს 22 თბოელექტროცენტრალში ამოქმედდა ორი უნიკალური თბოფიკაციური ტურბინა თვითეული 250 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. სტავროპოლის მხარეში ნეკინმინსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ამუშავდა 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის უდიდესი ელექტრომენტული ორთქლისგაზის დანადგარი.

ნავთობგადამამუშავებელ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში მწყობრში ჩადგა ბელორუსიის სატლის კომბინატი; ამოქმედდა ახალი სიმძლავრენი კრემენწუგის, ნოვო-ოშიმსკის, ნოვო-გორკის, ანგარის და კირიშის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებსა და ომსკის ნავთობგადამამუშავებელ კომბინატში, დნეპროპეტროვსკის, მოსკოვის, კრასნოიარსკისა და ომსკის სატლის ქარხნებში, ბალაკოვოსა და კურსკის ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხნებში; გაიზარდა რეზინის ფეხსაცმლის საწარმოო სიმძლავრენი.

ქვანახშირის მრეწველობაში მწყობრში ჩადგა ყაზახეთის მძლავრი ქვანახშირის ჭრილის „ბოგატირის“ შესამე რიგი, ირკუტსკის ოლქის აზეისკის ქვანახშირის ჭრილის მეორე რიგი, დნეპროპეტროვსკის ოლქის შახტი 20/23 „დასავლეთ დონბასისა“ გაფართოდა მთელი რიგი მოქმედი ქვანახშირის შახტებისა და ჭრილების სიმძლავრენი.

შავ მეტალურგიაში პირველი მადანი გამოუშვეს ბელგოროდის ოლქის ლებედინსკის და კუსკანიან ოლქის ლისაკოვსკის ახალმა სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატებმა; დნეპროპეტროვსკის ოლქის ჩრდილოეთის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში მწყობრში ჩადგა რკინის მადნის ფილების მოგუნდავების ფაბრიკა; ამოქმედდა ყარაგანდის კომბინატის მესამე კონვერტორი, დასავლეთ ციმბირის ქარხნის წვრილსორტული დგანი, ჩერეპოვეცის მეტალურგიული და ავდეევკის კოქსქიმიური ქარხნების საკოქსავი ბატარეები, ორიოლის ფოლადსადგლინავი ქარხნის დაკალიბრებული ფოლადის საამქროს პირველი რიგი.

ფერად მეტალურგიაში ამოქმედდა ახალი სიმძლავრენი კრასნოიარსკის, ბრატსკის, პავლოდარისა და კიროვაბადის ალუმინის ქარხნებში, ალმალიკის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში, ჩიმკენტის ტყვიის ქარხანასა და უკრაინის თუთიის ქარხანაში მწყობრში ჩადგა ბაშკირთის უნიკალის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგი.

ქიმიურ მრეწველობაში მწყობრში ჩადგა: ამონიუმის გვარჯილის მწარმოებელი ახალი დიდი აგრეგატები ნოვომოსკოვსკისა და ჩერკასკის ქიმიურ კომბინატებში, აგრეთვე ლიტვის ინსკისა და როვენსკოს აზოტის სასუქების ქარხნებში; რთული სასუქების წარმოებანი ტამბოვის ოლქის უვაროვოს ქიმიურ ქარხანასა და ჯამბულის ორმაგი სუპერფოსფატის ქარხანაში; დამატებითი სიმძლავრენი ამოქმედდა სოლიგორსკის პირველ და მეორე კალიუმის კომბინატებში; ჩერნიგოვის ქიმიური ბოჭკოს კომბინატში ამოქმედდა უწყვეტი პოლიმერიზაციის საფუძველზე კაპრონის კორდის მწარმოებელი სიმძლავრენი; საექსპლოატაციოდ გადაეცა ინსკის აზოტის სასუქებისა და ვოლგოგრადის ქიმიური კომბინატის სინთეზური ფისების ახალი დიდი საამქროები.

მანქანათმშენებლობაში მწყობრში ჩადგა ქალაქ ტოლიატის ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის მესამე რიგი, რომლის ამუშავების შემდეგ ქარხანა ამოქმედდა სრული საპროექტო სიმძლავრით — წელიწადში უშვებს 660 ათას მსუბუქ ავტომობილს. მწყობრში ჩადგა ნევინომისკის ელექტროსაზომ ხელსაწყოთა ქარხანა, ბელგოროდის ფრეზის ქარხანა; მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების საწარმოო სიმძლავრენი მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, ლიპეცკისა ჩარხების საწარმოო სიმძლავრენი ვიტებსკის სალესი ჩარხების ქარხანაში, ყორნეფისა და შუკჩეკის ჩარხსამშენებლო ქარხნებში გადიდდა ბევრ სხვა მოქმედ მანქანათსაშენებლო საწარმოთა სიმძლავრენი.

ხერსონსამშენებლებმა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში მწყობრში ჩადგა ხვერდლოვსკის ოლქის ვერხნე-სინიაჩიხის ფანერის კომბინატი, კოტლასის ცელულოზე-ქაღალდის კომბინატის ქაღალდის ფაბრიკა, პერმის ქაღალდის კომბინატის, მსხვილი შპალერის ფაბრიკა; ამოქმედდა ახალი ქაღალდის საწარმოო სიმძლავრენი სეგეჟის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში.

საშენ მასალათა მრეწველობაში ამოქმედდა დიდპანელიანი სახლმშენებლობის ქარხანა ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნში, ფურცლოვანი მინის ქარხანა ყირგიზეთში, ოსპოიეთის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა ბელორუსიაში, ახალი ტექნოლოგიური ხაზები ხვერდლოვსკის ოლქის სუხოი ლოგის ცემენტის ქარხანაში, ბელგოროდის ოლქის სტარაიოსკოლის, ხმელნიცკის ოლქის კამენეც-პოდოლსკის, ხარკოვის ოლქის ბალაკლეის ცემენტის ქარხნებში და თეთრი ცემენტის ხაზი ბელგოროდის ცემენტის ქარხანაში. გადიდდა შიფერის, ფაიფრის ნაწარმი, მოსპირკეთებული კერამიკული ფილების მწარმოებელი მოქმედი ქარხნების სიმძლავრენი; მწყობრში ჩადგა რკინაბეტონის ახალი საწარმოები.

